კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბის საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	მერვე
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	„სოლომან მორბელაძე“, ავტორი- დავით კლდიაშვილი
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)*	ფული, დაზოგვა, პირადი ფინანსების მართვა, გააზრებული სესხი, მომხმარებლის უფლებები და ვალდებულებები, ფინანსური თაღლითობა, კონკურენცია, ინვესტიცია.
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	შმთხვევების განხილვა ტექსტიდან, ეპოქის მიმოხილვა, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მეთოდები საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეთა პოზიციის გამოხატვისა და მსჯელობისთვის

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	განხორციელდა შემდეგი აქტივობები: 1. დავით კლდიაშვილის იმერეთი-ეპოქის მიმოხილვა 2. „შემოდგომის აზნაურები“- ვინ იყვნენ და რას საქმიანობდნენ 3. ჯგუფური მუშაობა (დანაწილებულ ტექსტებზე მუშაობა) 4. დისკუსია მოსწავლეებს წაკითხული აქვთ დ. კლდიაშვილის მოთხრობა „სოლომან მორბელაძე“. კიდევ ერთხელ იმსჯელეს ნაწარმოებში აღწერილი ეპოქის შესახებ, რა მოჰყვა შედეგად ბატონყმობის გაუქმებას, რა ბედი ეწია აზნაურთა კლასს, ვინ არიან „შემოდგომის აზნაურები“ და რატომ მოიხსენიებიან ამ სახელით, რა საქმიანობას ეწევიან გაღარიბებული აზნაურები, რამდენი კატეგორია გამოიყოფა მათი საქმიანობის მიხედვით, ვინ არიან ნაწარმოების მოქმედი პირები და რა აკავშირებთ ერთმანეთთან, როგორ ვითარდება მოთხრობის სიუჟეტი, რა როლს თამაშობს ფული მათ ურთიერთობაში, რამდენადაა დაცული მსესხებლისა და გამსესხებლის უფლებები და მოვალეობები, აქვს თუ არა ადგილი ფინანსურ თაღლითობას და რაში გამოიხატება იგი, ჰყავს თუ არა კონკურენტები მთავარ მოქმედ პირს საქმიანობაში და საიდან ჩანს ეს ფაქტი, იკვეთება თუ არა ტექსტში ინვესტიციის საკითხი და როგორ. ამ საკითხების დამუშავების შემდეგ მოსწავლეები დაიყვნენ სამ ჯგუფად და დასამუშავებლად დაურიგდათ ამონარიდები ტექსტიდან, რომლის მიხედვითაც მოამზადეს საკითხები საპრეზენტაციოდ: პირველი ჯგუფი- სოლომანი და პლატონი. ვალი და სამაშვლო, ხარჯი და მოსალოდნელი შემოსავალი. მეორე ჯგუფი- ბესარიონის საქორწილო ხარჯი, მზითვი და სამაშვლო, სარგებელი შვილის გათხოვებიდან. მესამე ჯგუფი- ქაიხოსროს სარგებელი ქორწილიდან და მოსალოდნელი ხარჯი ჯვრისწერისა და სამაშვლო. მოსწავლეებმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს თითოეული დავალების მოსალოდნელი ფინანსური ხარჯთაღრიცხვა. შემდგომ კი იმსჯელეს რეალურ შედეგებზე, თუ როგორ დასრულდა იგი. ბოლოს გაიმართა დისკუსია შემდეგ საკითხებზე: რას ნიშნავს ასთუმნიანი სარძლო და იაფი სასიძო ნაწარმოების მიხედვით. რა „ჯდებოდა“ ქორწინება ადრე და დღეს. რით განისაზღვრება ადამიანის ღირსება. რა უნდა ედოს საფუძვლად ქორწინებას. რა ძალა აქვს ფულს. გაკვეთილის დასრულებისას შეავსეს „გასასვლელი ბარათები“, რომელშიც აღნიშნეს, რა იყო მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი, რა ახალი ცოდნა შეიძინეს.

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	მიგნებები და დასკვნა: მოსწავლეებმა გააცნობიერეს ფინანსური განათლების მნიშვნელობა და როლი თანამედროვე სამყაროში. გაიაზრეს, რას ნიშნავს ფინანსების მოზიდვა, ეფექტური ინვესტიცია, ფინანსების დაზოგვა და ბალანსი სასურველსა და საჭიროს შორის. გაკვეთილის დასრულებისას შეავსეს „გასასვლელი ბარათები“, რომელშიც აღნიშნეს რა იყო მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი, რა ახალი ცოდნა შეიძინეს. გასასვლელი ბარათების განხილვამ მომცა შედეგების გაზომვის საშუალება.